ნატო ქობულაძე, დალი ბერანძე

ინკლუზიური განათლების საკითხები საჯარო სკოლებში

ანოტაცია: *ინკლუზიური განათლება თანამედროვე განათლებაში ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. იგი ეფუძნება მიდგომას, რომლის ცენტრშიც მოსწავლეა თავისი შესაძლებლობებითა და საჭიროებებით და არა კონკრეტული საგანი თუ პროგრამა. ხარისხიანი განათლების მიღება მაშინ არის შესაძლებელი, როცა სწავლების მეთოდები და სტრატეგიები მოსწავლის შესაძლებლობებსა და საჭიროებებზეა მორგებული და არა პირიქით. შესაბამისად, ის სირთულეები, რომლებსაც ბავშვი სკოლაში განიცდის, სკოლის და ზოგადად, საგანმანათლებლო სისტემის ორგანიზების, სწავლების მეთოდიკის ნაკლად განიხილება და არა მოსწავლის სისუსტედ. ინკლუზიური განათლების ეფექტური დანერგვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი არის მაღალკვალიფიციური სპეციალობის მასწავლებელი. 2010 წლიდან განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ წამოიწყო სპეციალური მასწავლებლისთვის პროფესიული სტანდარტების შემუშავება. 2014 წლიდან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა შეიმუშავა სასწავლო მოდული იმ სტანდარტებზე დაყრდნობით, რომელსაც ამზადებენ სპეციალური მასწავლებლები. სტანდარტი არის უნივერსიტეტების საფუძველი, შეიმუშაონ სპეციალური მასწავლებლის სამაგისტრო და სამაგისტრო პროგრამები.*

საკვანძო სიტყვები: *სპეციალური განათლება, ინკლუზიური განათლება, სპეციალური მასწავლებელი, სტანდარტი, საგანმანათლებლო საჭიროებები, ხარისხიანი განათლება.*

Nato Kobuladze, Dali Berandze

Inclusive education in public schools

Annotation: *Inclusive education is based on the approach, at the center of which is a student of his own abilities and needs, not a specific subject or program. Quality education can be achieved when teaching methods and strategies are tailored to the student's capabilities and needs, and not vice versa. Consequently, the difficulties that the child is experiencing at school will be considered a blemish of school and general educational system and teaching methodology, and not as a student's weakness. One of the most important factors in effective implementation of inclusive education is the highly qualified specialty teacher. Since 2010 the Ministry of Education and Science has initiated the development of professional standards for the special teacher. Since 2014, the National Center for Teacher Professional Development has developed training modules based on the standards that are prepared by special teachers. The standard is the foundation for universities, to develop special teacher's undergraduate and graduate programs.*

Key words: *Special education, inclusive education, special teacher, standard, educational needs, quality education.*

ინკლუზიური განათლებისადმი თანამედროვე ხედვა არსებითად განსხვავდება წარსულში არსებული ე. წ. „სამედიცინო მოდელისაგან“, რომლის მიხედვითაც, სპეციალური საჭიროება ინდივიდის „ნაკლოვანებად“ ითვლებოდა და პედაგოგთა მთელი ძალისხმევა ასეთი მოსწავლეების რეაბილიტაციაზე – მათი ნაკლოვანებების აღმოფხვრასა და უნარების „აღდგენაზე“ იხარჯებოდა. ძველი მიდგომის თანახმად, ეს ყველაფერი საშუალებას აძლევდა მოზარდს, რომ სკოლის გარემოს მორგებოდა და იმ მოთხოვნებისა თუ მიზნებისათვის ეპასუხა, რასაც ზოგადსაგანმანათლებლო სისტემა უსახავდა. მრავალწლიანმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ ამგვარი მიდგომა ადამიანის უფლებების დარღვევაა და მნიშვნელოვანია „სოციალურ მოდელზე“ გადასვლა, რომელიც ეფექტურია, როგორც ინდივიდის განვითარების, მისი დამოუკიდებლობის ხარისხის, სოციალიზაციისა და თვითეფექტიანობის გაზრდისათვის.

„ინკლუზიური განათლება – ნიშნავს ყველა ტიპის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლის ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროცესში თანატოლებთან ერთად. ინკლუზიური განათლება ასევე გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების ინდივიდუალური და/ან მოდიფიცირებული სასწავლო გეგმებით სწავლებას“ (mes.gov.ge).

დღეს განათლების სისტემის ამოცანაა სკოლების იმგვარი ორგანიზება, სადაც მოსწავლეთა ინდივიდუალობა არის გათვალისწინებული, ხოლო მათი განსხვავებული საჭიროებები - დაკმაყოფილებული. სწორედ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (ისგ) არის ის ინსტრუმენტი, რომელიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებს, კერძოდ, მათ, ვისაც უჭირს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევა, საშუალებას აძლევს მათ საჭიროებებსა და შესაძლებლებებზე მორგებული სწვლება შეასთავაზოს, რის შედეგადაც მოსწავლეები გარკვეულ შედეგებზე გადიან და წარმატებებს

აღწევენ. სწორედ სკოლა იღებს ამდაგვარ ვალდებულებას, შექმნას ინდივიდზე მორგებული პროგრამა და სწავლების ორგანიზების ფორმები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის. ისგ გეგმები ეროვნულ სასწავლო გეგმიდან გამომდინარეობს და მათში ასახული სასწავლო მიზნები განსაზღვრულია მოსწავლეების ინდივიდუალური შესაძლებლობებიდან და საგანმანათლებლო საჭიროებებიდან გამომდინარე. ისგ-ს შედგენა-განხორციელებაში მონაწილეობს მშობელი, კლასის დამრიგებელი, სკოლის მასწავლებლებისა და მოწვეული სპეციალიტებისგან შემდგარი გუნდი, რომელიც ფოკუსირებულია კონკრეტული სსსმ მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებებზე.

ინკლუზიური განათლების ხარისხიანი დანერგვისათვის მნიშვნელოვანია კვალიფიციური სპეცმასწავლებლის ჩართულობა სსსმ მოსწავლეთა საგანმანათლებლო პროცესში. 2010 წელიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით დაიწყო სპეციალური მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შემუშავების ხელშეწყობა. 2014 წლიდან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრმა, სტანდარტზე დაყრდნობით, შეიმუშავა სატრენინგო მოდულები, რომლის მიხედვითაც მზადდება სპეციალური მასწავლებლები. სტანდარტი არის საფუძველი შემუშავდეს უმაღლესი განათლების შესაბამისი სპეციალობები (საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამები).

სტანდარტში განმარტებულია, თუ რა კომპეტენციებს, პროფესიულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უნდა აკმაყოფილებდეს სპეციალური მასწავლებელი. მისი როლი მნიშვნელოვანია ასევე, როგორც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის აკადემიური უნარების განვითარების ხელშეწყობაში, ასევე ამ მოსწავლეთა დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადებაში.

„სპეციალური მასწავლებელი“ არის მასწავლებელი, რომელსაც აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია იმისთვის, რომ შეაფასოს მოსწავლის სწავლებასა და სწავლასთან დაკავშირებული სპეციალური საჭიროებები; განსაზღვროს და განახორციელოს

სწავლების შესაბამისი სტრატეგიები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ხარისხიანი განათლების უზრუნველსაყოფად. კონსულტაცია გაუწიოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს, მის მშობელს, მასწავლებელს/ებს და სხვა სპეციალისტებს მოსწავლის სწავლასა და საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციასთან დაკავშირებით“ (სპეციალური მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი-2014).

სპეციალური მასწავლებელი აფასებს მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სპეციალურ საჭიროებებს, კონსულტაციას უწევს მოსწავლეს, მის მშობელს, მასწავლებელსა და სხვა სპეციალისტებს. სპეციალური მასწავლებელი, გამომდინარე მისი კომპეტენციებიდან, ეხმარება ასევე მშობლებს, საგნის მასწავლებლებსა და სპეციალისტებს სსსმ მოსწავლეთა სასკოლო სივრცეში ორიენტირება-ინტეგრაციაში. იგი მასწავლებლებთან ერთად აფასებს სსსმ მოსწავლეთა საგანმანათლებლო საჭიოროებებს და ამ საჭიროობებზე მორგებით იძლევა სასწავლო მიზნებისა და მიზნის მისაღწევი სტრატეგიების შექმნა-განხორციელების რეკომენდაციებს. აღსანიშნავია, რომ სპეციალური მასწავლებელი, სკოლის დირექციასთან ერთად, სწავლის დასაწყისში ადგენს სკოლაში ინკლუზიური განათლების განვითარების სტრატეგიულ გეგმას, რომელშიც პრიორიტეტების მიხედვით გაწერილია შესასრულებელი სავალდებულო აქტივობები, აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები, რესურსები და შესრულების ვადები. ამდენად, სტრატეგიული გეგმა უზრუნველყოფს, რომ სკოლის ხელმძღვანელობამ სწავლის დაწყებისთანავე იზრუნოს შესაბამისი აქტივობების განხორციელებაზე და მხარდაჭერა გაუწიოს სპეც.მასწავლებელს ინკლუზიური განათლების ხარისხიანად დანერგვის პროცესებში.

მნიშვნელოვანია ის ფაქტორიც, რომ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინკლუზიური განათლების სამმართველო მუდმივად ზრუნავს საჯარო სკოლებში ინკლუზიური განათლების განვითრებისათვის, რისი დასტურია საჯარო სკოლებში სსსმ მოსწავლეთა მზარდი სტატისტიკის შესაბამისად

დამატებითი ფინანსების გამოყოფა სპეციალისტების შესარჩევად. დღეისათვის საჯარო სკოლებს ეძლევათ შესაძლებლობა სსსმ მოსწავლის საჭიროებების შესაბამისად რამდენიმე სპეციალისტი მოიწვიოს სკოლაში, რომლებიც ზრუნავენ კონკრეტული სსსმ მოსწავლეების სასწავლო პროცესში ეფექტიანი ჩართულობისა და სოციალიზაციისათვის.

წარმოგიდგენთ დღისათვის საქართველოში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სტატისტიკას:



2019 წლისათვის სსსმ მოსწავლეთა ფინანსური მხარდაჭერა საქართველოს საჯარო სკოლებისათვის შემდეგია:

- 1-დან 5 სსსმ მოსწავლე - 500 ლარი თვეში;
- 5-დან 10 სსსმ მოსწავლე - 1000 ლარი თვეში;
- 10-დან 15 სსსმ მოსწავლე - 1500 ლარი თვეში;
- 15 -ზე - 20 სსსმ მოსწავლე -2000 ლარი თვეში.

1 დან 5 სსსმ მოსწავლის ჩათვლით სკოლას შეუძლია შეარჩიოს სპეციალისტები, სსსმ მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე და გახარჯოს საჭირო ინვენტარსა

თუ განმავითარებლებზე სკოლაში ხარისხიანი ინკლუზიური განათლების დანერეგვისათვის. 2018 სასწავლო წლიდან საჯარო სკოლებისათვის სპეციალური მასწავლებლის გარდა, ხელმისაწვდომი გახდა სხვადასხვა სპეციალისტის ჩართულობა, ესენია: ლოგოპედი, ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, პერსონალური ასისტენტი.

დღეისათვის იმერეთის რეგიონში ინკლუზიურ განათლებაში ჩართულია 300-მდე სკოლა, სადაც სპეციალისტების რაოდენობა მერყეობს 1-დან 4-მდე სსსმ მოსწავლეთა რაოდენობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე. ტენდენცია მზარდია, 2019-2020 სასწავლო წლისათვის პირველ კლასში ჩარიცხვისა და საგანმანათლებლო საჭიროების დადგენის მიზნით იმერეთის რგიონში შემოვიდა მომართვიანობა და შეფასდა 67 სსსმ მოსწავლე, რომებლიც უზრუნველყოფილნი იქნებიან საგანმანათლებლო პროცესში მაქსიმალური ჩართულობითა და შესაბამისი სპეციალისტებით.

ლიტერტურა:

1. „ვისწავლოთ ერთად“- ინკლუზიური განათლება www.inclusion.ge (24.07.2019)

2. სპეციალური მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი - 2014 წ. http://tpdc.gov.ge/uploads/pdf_documents/specialuri%20maswavleblis%20standarti.pdf (24.07.2019).

3. ინკლუზიური განათლება - www.mes.gov.ge/content.php?id=289&lang=geo (24.07.2019)